



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება №168

2011 წლის 30 ნოემბერი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თოვლის საფარისაგან გაწმენდის სამუშაოების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის N54 დადგენილების და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულების 2011 წლის 29-30 ნოემბრის წერილების საფუძველზე:

1. 2011 წლის 29-30 ნოემბერს დიდთოვლობით გამოწვეული სირთულეების თავიდან აცილების და მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ქ. ხაშურში, დაბა სურამში და მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში შემავალ სოფლებში გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდის სამუშაოების ჩასატარებლად განხორციელდეს თოვლის საფარისაგან გაწმენდის სამუშაოების გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

